მარტვილის მუნიციპალიტეტის ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომის

ოქმი №15

ქ. მარტვილი 03 დეკემბერი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 16:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი კოკაია, ლევან სურმავა, ირინა გადელია, ალექსანდრე გრიგალავა, ელიზბარ ახვლედიანი, ნათია ბჟალავა, ზურაბ მელიავა, კობა დარჯანია, მაია გაწერელია, ზაზა რუხაია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, ნათია ქაჯაია, ზაურ ჯახუა, გოჩა ჯიქია, ელენე კოკაია, ვახტანგ კეკელია, ზაალ გოროზია, ელდარი თოდუა, ლაშა ქობალია, აკაკი ხუნწელია, მაგდა შირავა, შალვა თაფლაძე, სერგი ფაცაცია, გიორგი ხორავა, შალვა ბახია, კობა ასაბაშვილი, მამუკა დანელია, ჯამბულ ხუროძე, ირაკლი დიხამინჯია, მიხეილ ნაჭყებია, მინდია გაბისონია, გიორგი ჯიჯელავა, დათო ხელაია, პაატა პირტახია, კახაბერ ჯგერენაია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი თორნიკე ჯანაშია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

საკრებულოს პირველი მორიგი სხდომა გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მარტვილის N65 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პეტრე მანტუამ.

მოისმინეს 1: პეტრე მანტუამ საკრებულოს წევრებს გააცნო 2021 წლის 2 ოქტომბრის თვითმმართველობის აჩევნების შედეგები მარტვილის მუნიციპალიტეტში, რომლითაც დასტურდება ახლადარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის არჩევა და წარმატებები უსურვა მათ საქმიანობაში.

ამის შემდეგ თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს უხუცესი წევრი ირინა გადელია, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. № 65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;
   /მომხსენებელი-პეტრე მანტუა/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ;
   /მომხსენებელი-პეტრე მანტუა/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა;
   /მომხსენებელი-პეტრე მანტუა/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ;
   /მომხსენებელი-პეტრე მანტუა/
5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ;
   /მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/

6. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
/მომხსენებელი-ირინა გადელია, საკრებულოს წევრი/
7. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
8. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
9. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
10. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
11. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
12. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
13. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
14. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
15. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
16. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
17. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
18. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/
19. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/

20. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ.
/მომხსენებელი-საკრებულოს თავმჯდომარე/

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის ირინა გადელიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ და სთხოვა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ კანდიდატურები.

აზრი გამოთქვეს: ზურაბ მელიავამ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის წევრებად დაასახელა კახაბერ ჯგერენაიას, ნათია ბჟალავას და მამუკა ბახიას კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა დაესახელებინათ სხვა კანდიდატურები.

სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს საკითხს კახაბერ ჯგერენაიას, ნათია ბჟალავასა და მამუკა ბახიას მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის წევრებად არჩევის შესახებ.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაევლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

/კახაბერ ჯგერენაიას, ნათია ბჟალავასა და მამუკა ბახიას მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის წევრებად არჩევის შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის განკარგულება №51 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის ირინა გადელიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ და სთხოვა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ კანდიდატები.

აზრი გამოთქვეს: ლევან სურმავამ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრებად დაასახელა ზურაბ მელიავას, კობა დარჯანიასა და ირაკლი დიხამინჯიას კანდიდატურა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა დაესახელებინათ სხვა კანდიდატურები.

სხვა კანდიდატურები არ დასახელებულა.

დაადგინეს: კენჭი ეყაროს საკითხს ზურაბ მელიავას, კობა დარჯანიასა და ირაკლი დიხამინჯიას მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრებად არჩევის შესახებ.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა გაევლოთ საკითხის წინ რეგისტრაცია.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

/ზურაბ მელიავას, კობა დარჯანიასა და ირაკლი დიხამინჯიას მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის წევრებად არჩევის შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის განკარგულება №52 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მარტვილის №65 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პეტრე მანტუამ, საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისთვის საჭირო დოკუმენტაცია გადასცა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებით კომისიას, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება.

შესვენების დროს ცალკე ოთახში შეიკრიბა სამანდატო დროებითი კომისია, რომელმაც საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით საკრებულოს მოახსენა შესაბამისი დასკვნა და წარმოადგინა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ერთიანი სია უფლებამოსილების ცნობის თაობაზე.

მოისმინეს 4: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის ირინა გადელიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული, ახლადარჩეული მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N53 სხდომის ოქმს თან ერთვის/

ამის შემდეგ სიტყვით გამოსვლა ითხოვეს საკრებულოს წევრებმა ზაალ გოროზიამ და მამუკა დანელიამ, რისი უფლებაც მათ მიეცათ.

ზაალ გოროზიამ აღნიშნა, რომ მისთვის არსებული წინასწარი ინფომაციით საკრებულოს თავმჯდომარე აირჩევა პარტია ქართული ოცნებიდან, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოში მეტნი არიან ოპოზიციიდან გამარჯვებული დაპუტატები.

მამუკა დანელიამ უკმაყოფილება გამოთქვა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა წინა მოწვევის საკრებულოს მიერ, რაც არასწორად მიაჩნია, რადგან მისი აზრით მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი ახლადარჩეული საკრებულოს უნდა განეხილა და დაემტკიცებინა.

ამის შემდეგ ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრებმა დატოვეს საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

მოისმინეს 5: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის ირინა გადელიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ და სთხოვა მარტვილის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულ საკრებულოში შემავალ პარტიებს ფრაქციის რეგისტრაციასთან დაკავშირებით წარმოედგინათ შესაბამისი დოკუმენტები.

ფრაქციების დაფუძნების შესახებ დოკუმენტები წარმოადგინეს: ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველომ, მარტვილი-საქართველოსთვის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ და ევროპელი სოციალისტებმა, რომელიც შესასწავლად გადაეცა სამანდატო დროებითი კომისიას, რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება.

შესვენების დროს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით ცალკე ოთახში შეიკრიბა სამანდატო დროებითი კომისია.

სამანდატო დროებითმა კომისიამ წარმოადგინა დასკვნა, რომლის თანახმადაც ფრაქციების დაფუძნებასა და რეგისტრაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტები კანონთან შესაბამისობაშია.

დაადგინეს: ცნობად იქნეს მიღებული მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი ფრაქციების რეგისტრაცია:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''. ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია **ნათია ბჟალავა**. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულნი არიან: **გიორგი კოკაია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე** და **ირინა გადელია.**
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, ევროპელი სოციალისტები''. ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია **გიორგი ჯიჯელავა**.
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''. ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია **ვლადიმერ დანელია**. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულნი არიან: **ბექარ კუკანია, პაატა პირტახია** და **გოჩა ჯიქია.**
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,, მარტვილი საქართველოსთვის''. ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია **გიორგი ხორავა**. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულია **შალვა თაფლაძე.**

/მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №54, №55, №56 და №57 განკარგულებები სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 6: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარის ირინა გადელიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს სთხოვა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არანაკლებ 3 წევრს დაესახელებინა საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურები.

ნათია ბჟალავამ, შალვა ბახიამ და კახაბერ ჯგერენაიამ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურად დაასახელეს ლევან სურმავა, ხოლო გიორგი ხორავამ, შალვა თაფლაძემ და სერგი ფაცაციამ წარმოადგინა აკაკი ხუნწელიას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა კენჭისყრის წინ გაევლოთ რეგისტრაცია. რეგისტრაცია გაიარა 24 საკრებულოს წევრმა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მიერ საკრებულოს დროებით ხმისდამთვლელ კომისიას გადაეცა შესაბამისი რაოდენობის ბიულეტენები და ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითმა კომისიამ დაითვალა კენჭისყრის შედეგები.

მოისმინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით კენჭისყრის შედეგების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: კენჭისყრის შედეგად 19 ხმით 5-ის წინააღმდეგ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლევან სურმავა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა მიულოცეს ლევან სურმავას საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევა და წარმატებები უსურვეს შემდგომ საქმიანობაში.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის განკარგულება №58 სხდომის ოქმს თან ერთვის./

საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ სხდომას წარუძღვა ლევან სურმავა.

ამის შემდეგ სიტყვა ითხოვა ელდარ თოდუამ, რომელმაც ფრაქციის ,,ევროპელი სოციალისტები“ სახელით განაცხადა, რომ ისინი მზად არ არიან დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განსახილველად და ითხოვა სხდომის ერთი კვირით გადადება.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან სურმავა დაეთანხმა სხდომის გადადების საკითხს და საკრებულოს სხდომის გაგრძელების თარიღად გამოაცხადა 2021 წლის 8 დეკემბერი, რაზეც თანხმობა განაცხადეს დამსწრე საკრებულოს წევრებმა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა